



სახელმწიფო საბრანტო დაფინანსების სისტემის რეფორმა 2017 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის ანგარიში

ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში წარმოგიდგინთ 2017 წელს საჯარო ინსტიტუტების მიერ საგრანტო დაფინანსების გაცემის მონიტორინგის შედეგებს.

მოკლე მიმოხილვა

კვლევის ფარგლებში შესწავლილია 2017 წელს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ არასამხარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე (ა(ა)იპ) გაცემული გრანტები. წინამდებარე ანგარიში არ მოიცავს სახელმწიფო გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შინაარსისა თუ ხარისხის შეფასების მიმართულებას. ის, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად არის წინასწარ განსაზღვრული გრანტის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები, რამდენად და როგორ ასრულებს გრანტის გამცემი საჯარო უწყება მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს გრანტის გაცემისა და განხორციელების ყველა ეტაპზე, ხოლო, მეორე მხრივ, ახალიზებს, თუ რა გამოცდილება აქვთ საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს - ა(ა)იპ-ებს, სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების მხრივ.

მონიტორინგის პროცესში ინფორმაცია მოწოდებულია როგორც სახელმწიფო გრანტის გამცემი უწყებების, ისე საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღები ორგანიზაციების მხრიდან. კვლევის შედეგები, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ეფუძნება სამაგიდო კვლევისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასევე ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მიმდინარეობისას დაგროვებული ცოდნის ანალიზს.

მნიშვნელოვანი მიზნები:

- 2017 წელს შვიდი საჯარო დაწესებულების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან ა(ა)იპ-ებზე სულ გაიცა 121 გრანტი/სუბსიდია, რომელთა ჯამური ოდენობა შეადგენს 6.264.975 ლარს.

აღნიშნული საჯარო უწყებები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- ყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDC), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით.

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
- სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (გაცემულია სახელმწიფო სუბსიდია).

- საჯარო დაწესებულებების მიერ გრანტის გაცემის პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ნაკლებად გვხვდება საგრანტო პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში დაინტერესებული პირებისა და ექსპერტების ჩართვის პრაქტიკა.

გარდა ამისა, ვერ მოხერხდა საგრანტო პროგრამით განსაზღვრული აქტუალური და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის საჭიროებებისა და მიმართულებების ემპირიული საფუძვლის დასაბუთება სხვადასხვა კვლევითა და წყაროთი.

- საკონკურსო განაცხადების მიღებისას გამოიყენება როგორც ელექტრონული სისტემები, ასევე დოკუმენტაციის ფიზიკური წარდგენა, რაც დამატებით ბარიერს ქმნის კონკურსში მონაწილე, განსაკუთრებით რეგიონული, ორგანიზაციებისთვის.

- საკანონმდებლო დონეზე არ არის განსაზღვრული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა საგრანტო განაცხადების შეფასების ეტაპზე. ზოგ შემთხვევაში განაცხადების შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში შედიან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სფეროს ექსპერტები. შეფასების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის პრაქტიკა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მხრიდან ერთხმად შეფასდა, როგორც ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

- შეფასების სისტემები (ქულათა სისტემა, დადებითი/უარყოფითი შეფასება) საჭიროებს დამატებით წარუტყულ განმარტებას, რათა შეფასების შედეგი უფრო გაზომვადი და განჭვრეტადი გახდეს.

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

- კონკურსში მონაწილე ორგანიზაციები ნაკლებად მიმართავენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმს, რის მიზეზადაც ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ხანგრძლივი პროცედურები და რთული ბიუროკრატიული მექანიზმი სახელდება.

- უმეტეს შემთხვევაში, საჯარო ინსტიტუტები ფინანსური ანგარიშის კონტროლს და პროექტის თანხების მიზნობრივ ხარჯვას თავად ამონებენ. გამოიკვეთა, რომ ხშირად არ არსებობს გარე აუდიტის დასკვნა.

- საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ განხორციელებული ეფექტურობის შეფასების ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც დაადასტურებდა ზოგადად საგრანტო პროგრამის განხორციელების შედეგებს.

რეკომენდაციები

- ემპირიული კვლევითი მიმართულების გაძლიერება და მისი შედეგებით გამყარებული საგრანტო პროგრამის ძირითადი მიმართულებების/პრიორიტეტების განსაზღვრა. საგრანტო პროგრამაში აღწერილი პრობლემის დასაბუთებისას მნიშვნელოვანია, ნათლად იყოს მითითებული შესაბამისი წყარო და პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველი.

- საგრანტო პროგრამის განსაზღვრისას მონაწილეობითი მექანიზმის შექმნა ექსპერტებისა და პოტენციური მოსარგებლეებისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სექტორში არსებული ცოდნის გაზიარებას და სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას საგრანტო მიმართულებების სწორად განსაზღვრის პროცესში.

- საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოცხადების პროცესში, გარდა ონლაინ მედია საშუალებებისა, საჯარო პრეზენტაციის/საჯარო კონსულტაციების ორგანიზება. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, საჯარო პრეზენტაცია ხელს უწყობს ინფორმირებულობის ზრდას, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებში, რომლებიც პირველად იღებენ კონკურსში მონაწილეობას.

- საჯარო უწყებების მიერ ა(ა)იპ-ების კომპეტენციებისა და შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით დამატებითი ტრენინგების ორგანიზება პროექტის წერასა და ბიუჯეტირებაში.

- განაცხადების მიღების ელექტრონული სისტემების დანერგვა/გაუმჯობესება, რათა პროცესი ეფექტურად და სწრაფად წარიმართოს. იმ შემთხვევებში, როდესაც ელექტრონული სისტემები უკვე არსებობს, მნიშვნელოვანია მათი დახვეწა და გაუმჯობესება ანონიმურობისა და ობიექტურობის საგარანტიოდ.

- საგრანტო განაცხადების შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში სამოქალაქო სექტორისა და შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობისა და სანდოობის ხარისხის გაუმჯობესებას.

- საგრანტო განაცხადების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება. ქულათა სისტემის ან სხვა გაზომვადი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. გარდა რაოდენობრივი შეფასებისა, შინაარსობრივი შეფასების შემოღება/გაუმჯობესება.

- გასაჩივრების მექანიზმის გაუმჯობესება პროცედურების გამარტივებისა და გასაჩივრების ვადების შემცირების გზით.

- ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების მექანიზმის გაძლიერება, მათ შორის შემფასებელი კომისიის შემადგენლობის საჯაროდ გამოქვეყნება საკონკურსო პროცესის დასრულების შემდგომ.

- საჯარო ინფორმაციის გაცემისას პერსონალური მონაცემების დაფარვის უზრუნველყოფა. კვლევის ფარგლებში მოწოდებული ზოგიერთი ინფორმაცია, ხელშეკრულება და ანგარიში შეიცავდა ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემებს, როგორებიცაა: პირადი ნომერი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა.

- საგრანტო პროგრამების ეფექტურობის შეფასების კვლევის განხორციელება. აღნიშნული რეკომენდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საჯარო ინსტიტუტებისთვის, რომელთაც აქვთ მუდმივმოქმედი საგრანტო პროგრამა. სასურველია ეფექტურობის კვლევის ჩატარება გარკვეული პერიოდულობით.

- სპეციალური პლატფორმის შექმნა სახელმწიფო გრანტის გამცემი საჯარო უწყებების პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული პირებისთვის გრანტის გაცემის პროცესში დაგროვებული ცოდნის, მოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მსგავს პლატფორმას შესაძლოა ჰქონდეს ყოველწლიური ფორუმის, სესიის ან კონგრესის სახე.